ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 94

ქალაქი ქუთაისი 27 ივლისი 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქართულ–ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტს“ (საიდენტიფიკაციო კოდის № 404945244) შორის 2018 წლის 5 ივლისს გაფორმებული № 26 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადის შეცვლასთან დაკავშირებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ და „დ.ლ“ ქვეპუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ 398-ე მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქართულ–ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტს“ (საიდენტიფიკაციო კოდის №404945244) შორის 2018 წლის 5 ივლისს გაფორმებული №26 ნასყიდობის ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების (განახორციელოს ერთი მილიონი ლარის ინვესტიცია და დაასაქმოს მინიმუმ 30 ადამიანი) შესრულების ვადის 2024 წლის 5 ივლისამდე გაგრძელების თაობაზე.

მუხლი 2. დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქართულ–ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტს“ (საიდენტიფიკაციო კოდის №404945244) შორის 2018 წლის 5 ივლისს გაფორმებულ №26 ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა N11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო